საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 2025 წლის ამბროლაურის რაიონული (მათ შორის, ონის მაგისტრატი) სასამართლოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია, ამბროლაურის რაიონულ(მათ შორის, ონის მაგისტრატ) სასამართლოში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, ამბროლაურის რაიონული(მათ შორის, ონის მაგისტრატი) სასამართლოს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების, ან ელექტრონული მატარებლის მეშვეობით, ინფორმაციის მიწოდებას, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლო საქმიანობის გაცნობას და ა.შ.

2024 წლის 10 დეკემბრიდან - 2025 წლის 10 დეკემბრამდე, ამბროლაურის რაიონულ(მათ შორის, ონის მაგისტრატ) სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, 7 (შვიდი) განცხადება შემოვიდა. 6 (ექვსი) განცხადება სრულად დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა ერთი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე პასუხი მომზადდა წერილობითი სახით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში– ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის - ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მერაბ კობახიძის მიერ, რომელიც ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეა.

საჯარო ინფორმაციასი შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა, ხოლო, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ გასაჩივრებულა.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ამბროლაურის რაიონულ (მათ შორის, ონის მაგისტარტ) სასამართლოს, საქმისწარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას, ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო აპარატის თანამშრომელთა მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, შესაბამისად, 2024 წლის 10 დეკემბრიდან - 2025 წლის 10 დეკემბრამდე, სასამართლომ პერსონალური მონაცემები გასცა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის თაობაზე დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლოს თანამშრომლის მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ იძლეოდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების შესაძლებლობას ან/და ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში ინფრომაცია დაცული არ იყო.

სასამართლოში არ ყოფილა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირების მიმართ, დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი.

მერაბ კობახიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის
უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ
გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

Merab Kobakhidze 04001002488

Digitally signed by Merab Kobakhidze
Date: 2025.12.08 10:16:20

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერი -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი